თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6253949

ნომერი: AR1938640

თარიღი : 07.12.2022

გაცემის თარიღი : 20.12.2022

გაცნობის თარიღი : 21.12.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ორგანიზაცია:

- შპს"ვიონი საქართველო" კოდი: 20445084

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N 17, საკუთრებაში არსებული შენობის სახურავზე შპს "ვიონი საქართველო"-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ანტენების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882022625563 13/09/2022წ., საკადასტრო კოდი N 01.19.16.001.057; იჯარის ხელშკრულება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მინდობილობა, ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის ჰიგიენური დასკვნა 30/11/2022 წ. №022/275; შ.პ.ს "მერიდიანი"-ს სანიტარული დაცვის ზონის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტი, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N 17, საკუთრებაში არსებული შენობის სახურავზე შპს "ვიონი საქართველო"-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ანტენების განთავსების შესაძლებლობას.

- ანტენების მოწყობისას უნდა უზრუნველყოთ მისი კონსტრუქციული მდგრადობა.
- გათვალისწინებული და დაცული იქნას ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.